ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №5

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

21 თებერვალი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა -მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარი ლურსმანაშვილი იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო" -ს თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნინო მაღლაკელიძე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

ს. გლუნჩაძე ოპერატორი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,
ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“,რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის საკრებულოს N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

აზრი გამოთქვეს:

თ ავალიშვილმა ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, დასვა შეკითხვა მწვანე ნარგავების პროექტის ხელისშემშლელი ფაქტორი რა იყო? მან ასევე დასვა შეკითხვები უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებით, მერიისა და საკრებულოს ავტომანქანების შეძენასთან დაკავშირებით,

დასმულ შეკითხვებს უპასუხეს:

ნ. მაღლაკელიძემ, მომხსენებელმა, უპასუხა, დაბის ტერიტორიაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებმა ხელი შეუშალა ამ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას, თუმცა სკვერებში დაირგო 3,0 ათასი ძირი ყვავილოვანი მცენარე. პროგრამა დაფინანსა 178,7 ათასი ლარით, საიდანაც 38 თანამშრომელზე გაიცა შრომის ანაზღაურება 169,9 ათასი ლარი, სხვადასხვა სათესლე და სანერგე მასალის შესაძენად დახარჯულია 8,8 ათასი ლარი.მოხდა ბიუჯეტის დაზუსტება და თანხა მოხმარდა სხვა ხარჯის დაფინანსებას.

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩვენს მიერ მოძიებული იქნა ინფორმაცია ძაღლების თავშესაფრის მოწყობასთან დაკავშირებით და აღმოჩნდა, რომ თავშესაფრის მოსაწყობად ისეთი სტანდარტების დასაცავი, რომ ამას ვერ შევძლებდით, გვინდოდა გადამზადება ვეტერინარების, სტერილიზაციის კუთხით, მაგრამ ესეც ვერ მოხერხდა.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა რომ კანონის დაცვით მერის ინიციატივა იყო ავტოპარკის განახლების, ასევე საკრებულოს წერილიც არსებობდა ავტომანქანის მოთხოვნაზე. მერიას აქვს უამრავი ვალდებულებები, რომლის შესრულებას ჭირდება გამართული პარკი, სამსახურებს ვალდებულების შესასრულებლად ესაჭიროება ტრანსპორტი, მოძველებული პარკის განახლების მიზნით დაიგეგმა აღნიშნული შესყიდვა, კანონი ამით არ დარღვეულა. მან ასევე გააკეთა მოკლე მიმოხილვა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრესი გვაქვს, წინა წლებთან შედარებით, შევეცადეთ წარმოგვედგინა დეტალური ანალიზი ბიუჯეტის შესრულების, გვაქვს გარკვეული წარმატებები, მაგალითად 106.7 % ით არის შესრულებული შემოსავლების გეგმა, ღონისძიებები დაფინანსდა 3 345 000 ლარით მეტი, 2 729 000 ათასი ლარით მეტი დაიხარჯა 2020 წელთან შედარებით, პრიორიტეტული იყო სოციალური სფერო, საბავშვო ბაღების მშენებლობა, დასრულდა წინა წლებში დაუსრულებელი პროექტები, არის პრობლემები მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით, ამაზე არ გვაქვს მონახაზი, შემოგვთავაზეთ ინიციატივა, ნებისმიერ ინიციატივას თუ იქნება თქვენგან წამოსული, რომელიც არსებული პრობლემების მოგვარებას შეუწყობს ხელს მივესალმებით და მხარს დაგიჭერთ.

მ. ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს დახვეწილი ანგარიშის წარმოდგენისათვის და დასძინა, რომ პრობლემებს უნდა ვებრძოლოთ ერთად, ნებისმიერი ხელისუფლების დროს შეიძლება იყოს პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიებს.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

2 საკითხის განხილვა დაევალა იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის", რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე -

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის საკრებულოს N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე